ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ხაშური 16 01 2020- წ.

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის: შპს "მაგთიკომი" წარმოდგენილი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისის მენეჯერის თამარ გოგოლაძის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილის 06.02.2019 19/02/06-002 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში - მიმწოდებელი, ერთის მხრივ შპს „სურამის სადაზო პოლიკლინიკა" (243861228) , წარმოდგენილი მისი დირექტორის მაყვალა მაისურაძის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, მეორეს მხრივ თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 600 (ექვსასი) ლარის საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2 მხარეთა ვალდებულებები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ჩარიცხული თანხის პროპორციული მომსახურება,მხარეთა შორის მოქმედი შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოქმედებს რამოდენიმე საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება, შემსყიდველმა თანხის გადარიცხვისას უნდა მიუთითოს რომელი საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა სურს.

3 ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5 ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ.

6 სადავო საკითხების გადაწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7 დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხოლოდ საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის/ანგარიშსწორების საკითხი. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ მონო ბარათის საშუალებით შესაძლებელია მონო ბარათის ნომინალის შესაბამისი თანხის გააქტიურება მიმწოდებლის მხრიდან შეთავაზებული მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო ანგარიშზე, მონო ბარათზე მითითებული წესების დაცვითა და კონკრეტული მომსახურების პირობებით გათვალისწინებული წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

8 მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „მაგთიკომი“	შპს „სურამის სადაბო პოლიკლინიკა“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #7	ქ.ხაშური, დაბა სურამი, რუსთაველის ქ.196
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ს.ს საქართველოს ბანკი
ანგ. GE73VT6600000000423607	ანგ.GE38BG0000000299996100
კოდი: UGEBGE22	კოდი:BAGAGE22
საიდ. კოდი: 204876606	საიდ.კოდი:243861228
რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისის მენეჯერი	დირექტორი
---	---
თამარ გოგოლაძე	მაყვალა მაისურაძე

Ltd Mzia Nikolaishvili Surami Town Polyclinic
Digitally signed by Ltd Mzia Nikolaishvili Surami Town Polyclinic
Date: 2020.01.17 10:45:01 +04'00'

Tamar Gogoladze
Digitally signed by Tamar Gogoladze
Date: 2020.01.17 10:59:12 +04'00'